საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კონდაკი

კონდაკი (ბერძნ. კონტაკიონ

კ. აგრეთვე ეწოდება ლიტურგიულ კრებულს, რ-იც შეიცავს წირვის წესსა და ღვთისმსახურების სხვადასხვა რიტუალთან დაკავშირებულ ლოცვებს (იხ. ლოცვანი). ტექსტი იწერებოდა ერთმანეთზე გადაკერებული ეტრატის ვიწრო ფურცლებზე, რ-საც ჯოხზე ახვევდნენ. აქედან წარმოდგა კ-ის სახელწოდებაც. X ს-იდან სამღვდელო კ-გან განსხვავებით შეიქმნა მაღალი რანგის სამღვდელო პირთათვის განკუთვნილი კრებული, რ-საც არქიერატიკონს უწოდებდნენ (XI ს. ხელნაწერი, ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, A–86).

თანამედროვე მნიშვნელობით კ. არის ერთსტროფიანი საგალობელი, რ-იც ჩაერთვის კანონის VI გალობის შემდეგ და სრულდება ღვთისმსახურებაზე.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; შ უ ღ ლ ი ა შ ვ ი ლ ი დ., ქართული სამგალობლო სკოლები და რვახმის სისტემა, თბ., 2014., К е к е л и д з е К., Древно-грузинский архиератикон,Тфл., 1912; მ ი ს ი ვ ე , Иерусалимский канонарь VII века (грузинская версия), Тфл., 1912.